


 ა(ა)იპ "თავისუფლება" NQO "Freedom"
 
 გილითის ფასი 10 ლარი 25.03.14 6 / 20.00 სთ
 ღონისძიების განმარტებული მხარდაჭერა ძ. თაბიასის შიპი
 გილითის შიპის მხარდაჭერა სპორტის სასახლის საღარიბოში
 ერთად ვიბრძოლოთ ჩვენი ძველის
 ჯანსაღი მომავლისთვის!
 
 გავატირებთ საქველმოქმედო
 მართონზე სპორტის სასახლებში
 საქველმოქმედო ზარი: 0901 700 515 ზარის ღირებულება 1 ლარი

მთავარი თემა ≡ მთავარი თემა

"ჭიათურა ის ადგილია, სადაც შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს გარემოზე ზემოქმედება"

ცისანა შერგილაშვილი 20 თებერვალი 2014 18:39:58

"ჭიათურაში ეკოლოგიური კატასტროფა," _ ეს სიტყვები ჭიათურის მაჟორიტარ დეპუტატ მალხაზ წერეთელს ეკუთვნის.



ჭიათურაში რომ სავალალო ეკოლოგიურ მდგომარეობა ამაზე თანხმდებიან გარემოსდაცველები, ადგილობრივები, პოლიტიკოსები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

"გურია ნიუსმა" გადაწყვიტა აღნიშნული პრობლემის გარშემო ჩატაროს ვრცელი მოკლევ. პირველ რიგში, ჩვენ დავუკავშირდით გარემოსდაცველებს და მდგომარეობის შეფასება ვთხოვეთ.

ნინო გუჯარაიძე. "მწვანე ალტერნატივა"

"საერთო სურათის დახატვა ცოტა რთულია, რადგან არ არსებობს ოფიციალური მონაცემი, რაც თავისთავად პრობლემაა. მანგანუმის მოპოვების მონიტორინგი და კონტროლი არ ხდება. გარემოსდაცვის სამინისტრო ყვრდნობა მეწარმეების მიერ მოწოდებული

თვითმონიტორინგის ანგარიშებს, რომელშიც შეგვიძლია ექვი შევიტანოთ, თუნდაც იმიტომ რომ მეწარმე ყოველთვის დანტერესებულია, უფრო მსუბუქი სურათი დახატოს.

ჭიათურა ის ადგილია, სადაც შეუიარაღებელი თვალითაც შეგვიძლია დავინახოთ გარემოზე ზემოქმედება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზემოქმედება არის მიყენებული წიაღის მოპოვების შედეგად ნიადაგზე. ნანახი მატებს სახლები, მაგალითად რგანში, ადამიანებს ღობეების გარშემო უთხრიან მიწას და ეუბნებიან, რომ მათ საკუთრებას არ ეხებიან. აქ არავითარ კომპენსაციაზე და არც დაზიანებულის ადდენაზე არაა საუბარი. თხრიან და მიდიან.

ნიადაგთან ერთად ძალიან სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ჰაერის დაბინძურება მანგანუმის მტერის გამო. ყვირილვ ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა. ნიადაგი, მტკერი და მდინარე ყვირილი ძალიან თვალითაც კარგად ჩანს.

მანგანუმის მოპოვებაზე გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა აქვს გაცემული. ნებართვის პირობების შესრულება კიდევ სხვა თემაა. ეკოლოგიური მოთხოვნები არის კომპანიის მიმართ, მაგრამ გააჩნია შინაარსს. თუკ არ იქნება დეტალურად გაწერილი ქმედებები და არ იქნა გაწერილი მისი შესრულებისთვის ვადა, ასეთ შემთხვევაში მის დაწერას ნებართვაში აზრი არ აქვს. ძალიან ზოგადი და მრავალზროვანი ჩანაწერებია, რომლის შესრულების თავის არიდებასაც ინვესტორი ძალიან კარგად ახერხებს. მე ვფიქრობ, სამინისტროს აქვს ბევრი ბერკეტი იმისა, რომ ეს პირობები შეეცალოს, გაამკაცროს, გადახედოს. უამრავი მიმართვაა სამინისტროზე, ჩვენთან მოდის ეს წერილები . ეს სოფლები არიან კატასტროფულ მდგომარეობაში. მტკერი, გზის დაზიანება, უამრავი სახიფათო ნაპრალბი, ადამიანებს საყინელი ელუპებათ და ბავშვებისთვის საშიშია.

არ აქვს მნიშვნელობა რა პირობებით გაიყიდა საწარმო. გარემოს დაცვის სამინისტროს გზა ხსნილი აქვს, უბრალოდ მონდომება საჭირო. პრობლემები ძალიან დიდი ხანია დაგროვილია, და დროთა განმავლობაში გამწვავებული. პრობლემის მოგვარების გადავადება, სიტუაციას უფრო გაართულებს.

აქ არ არის საუბარი იმაზე, რომ დაჯარიმებით სული ამოხადო საწარმოს, უბრალოდ სამინისტრო კონტროლი უნდა აიღოს იმაზე, როგორ ასრულებს ის თავის სამუშაოებს.

ბევრი მივიდა უკვე იმ აზრამდე, რომ ეს არ არის ცალკეული ორგანიზაციების პრობლემა, კომპანიისთვისაც მომგებიანია ამ პრობლემების გადაჭრა. ბუნებრივია მოსახლეობისთვის და დასაქმებულთათვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ყოველ ჯერზე, როდესაც ვითხოვთ ნებართვების, ლიცენზიების შესრულების ანგარიშებს, სამწუხაროდ, ამ დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ბევრი არაფერი კეთდება. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პრიორიტეტულად არ განიხილება ეს საკითხი. პირველ რიგში, სამინისტრომ გაცემული ნებართვის მონიტორინგი უნდა აწარმოოს და ყველა შედეგი საჯარო გახადოს".

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)

"ჩვენი ორგანიზაცია CENN ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ დარკვეთში ახორციელებს პროექტს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სოფლად მცხოვრებ ქალთა გაძლიერება და მათი ჩართვა ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვაში. პროექტის მიმდინარეობის განმავლობაში ხშირად გვიწევს ადგილზე ჩასვლა და ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა. როგორც ცნობილია, ჭიათურის მუნიციპალიტეტი მდიდარია მანგანუმით, რომლის დამუშავება და მოპოვება დაიწყო მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლებიდან, ბოლო 2 ათეული წლის განმავლობაში მანგანუმის მოპოვება ნაწილობრივ მიმდინარეობს მირითადი ტექნოლოგიური პროცესების



8 საკითხი _ წულუკიანის უწყებამ არაეფექტური მუშაობის შედეგებზე



ვინ არიან ოზურგეთის სოფლებში მაჟორიტარი დეპუტატების კანდიდატები



ადდება თუ არა სამართლიანობა მიხილ სააკაშვილის დაქვრით



"მინდოდა ღირსეული სიბერე მქონოდა..."



"ჯავახვი" სომხური ენისთვის სტატუსის მინიჭებას ითხოვს"



ზაზა ხატიაშვილი მსს-სგან ბოდიშის მოხდას მოითხოვს



"მერაბიშვილის განცხადება საფუძველს მოკლებულია"



პარლამენტს საჯარო სამსახურის მარეგულირებელი ახალი



"დევნმართ პატიმრებს, ნუ მივატოვებთ გასაჭირში"



"არხის მფლობელთან დეზინფორმაცია მიჭირდათ და ივანიშვილი



კლუბ "გურიას" დირექტორის შვილი გარდაიცვალა



დღის ფოტო _ ბურჯანაძის ოფისი ჩოხატაურში



წყლის სისტემის რეაბილიტაცია და რეაბილიტაციის შემდეგ



სად გაქრა 91 833 ცალი ჩამოწერილი წიგნი?

დაცვის გარეშე. აღნიშნულის შედეგად მუნიციპალიტეტის მთელ რიგ ტერიტორიებზე განსაკუთრებით კი სოფელ დარკვეთის მიდამოებში უარყოფითი შედეგები მოიტანა მანგანუმის მოპოვება-დამუშავების პროცესმა.

ჭიათურის მუნიციპალიტეტში სერიოზული ეკოლოგიური პრობლემებია შექმნილი, რაც გამოიხატება რეგიონში მოქმედი საწარმოო პროცესის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების არასათანადო განთავსებით, დაავადებების ლოკალიზაციაში და შრომითი პირობების დარღვევით გამოწვეულ გაზრდილ ტრაგიკულ შემთხვევებში.

მადარობში არსებობს აზოტით მოწამვლის საშიშროება. ხშირია უბედური შემთხვევები, რაც მადაროს პერსონალის სიკვდილიანობით მთავრდება.

ჭიათურის მუნიციპალიტეტში განთავსებულია მანგანუმის მიტოვებული კარიერები, რომელთა რეკულტივაცია უკვე დიდი ხანია აღარ ჩატარებულა და საფრთხეს უქმნის მოსახლეობას, განსაკუთრებით დიდი ნალექების მოსვლის დროს ჩნდება საფლობები და დიდია სიცოცხლის რისკი, რაც რამდენჯერმე ტრაგიკული შემთხვევებით დამთავრდა. უნდა აღინიშნოს სოფ. დარკვეთის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სხვადასხვა ფორმის და სიღრმის დეპრესიები, რომელთა გენეზისი სწორედ აღნიშნულ საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

სოფელ დარკვეთის მანგანუმის მადარობი მოპოვებული მადნის პირველადი გადამუშავება მდინარე ჯრუჭულაზე განლაგებულ ქარხანაში ხდება. მანგანუმი მომეღებულ ტექნოლოგიებით მექანიკურად გადამუშავდება, პირდაპირ მდინარეში ირეცხება, რაც მდინარის სერიოზულ დაზიანებებს იწვევს (ხანდახან ის ფერსაც კი იცვლის და შავი ფერის ხდება). გამომდინარე იქიდან, რომ მდინარე ჯრუჭულა ყვირილას უერთდება ეს უკანასკნელიც ბინძურდება და საფრთხე მხოლოდ სოფელ დარკვეთს კი არა, არამედ უკვე ჭიათურის მთელი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ემუქრება.

"სენის" მიერ ჩატარებული ლაბორატორიული ანალიზების საფუძველზე გამოირკვა რომ მანგანუმის დია კარიერული წესით მოპოვება იწვევს ჰაერის და სასმელი წყლის დაზიანებებს. აღნიშნულის გამო ერთად საყურადღებოა რომ ბოლო ხანებში ჭიათურის მუნიციპალიტეტში საგრძობლად მოიმატა სასუნთქი და გულსისხარღვთა დაავადებების შემთხვევებმა.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა ჭიათურის მარგანეცის საბადოების მესვეურებმა აღნიშნულ ფაქტებს ყურადღება მიაქციონ და აუცილებლად დაწერგონ მარგანეცის მოპოვების და დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიები და შესაბამისად, გათვალისწინებული იქნეს ლიცენზიის პირობები გარემოსდაცვითი კუთხით".

Tweet 3

g+1 0

Like Share 169

ბრძოლი

"სააკაპოვილის ჩამოწერა ნაადრავში" 2013-11-04 15:28:44



პარტია "თავისუფალი საქართველოს" თავმჯდომარე კახა კუკავა მიიჩნევს, რომ ახალი პრემიერის დანიშვნით არსებობს საშუალება ახალი პოლიტიკური...

"გბელთან გბელს უჩივლებ?" 2011-03-23 09:19:14



გამოიძიეთ, როგორ გაიყიდა ეს ტერიტორია ასე ჩუმად ორი წლის წინ; დაგვიმტკივეთ, რამდენად კანონიერად მოხდა გაყიდვა...

"ნინა ხელისუფლების რადიკალურ მიდგომას რუსეთთან მიმართებაში, როგორც დაგაბიანებალი იყო, ევროპული ლიდერები ნახილით იხსენებენ" 2014-02-03 10:17:17



საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით რომელიც მან მიუხეხნში ვიზიტის...

"უს ბინძური კაპანია ინა გუდაგაძისა და შინი ზაფხის მიერაა განხორციელებული" 2014-03-18 23:30:58



მხოლოდ ერთი რამ შემიძლია ვთქვა და გავიმეორო. ეს რამდენიმედღიანი ბინძური და გაუმართლებელი...

მასალების გამოყენებისას აუცილებელია რედაქციის ნებართვა

54 User Online

2562779 TOP.GE 6171 2782